# Programme

The Concerto for Solo Organ No. 2 in A minor is a remarkable musical work that exemplifies the genius of Johann Sebastian Bach. The concerto, though attributed to Bach, is actually an arrangement of a concerto originally composed by Antonio Vivaldi, demonstrating Bach's mastery in transcribing and adapting works from other composers. Bach was renowned for his extraordinary ability to assimilate and rework the music of his contemporaries and predecessors. In the Baroque era, composers frequently borrowed themes and motifs from each other, engaging in a practice known as "parody" or "pasticcio." In the case of BWV 593, Bach “borrowed” Antonio Vivaldi's Concerto for two violins, strings and basso continuo in A minor, RV 522 from Vivaldi’s volume of revolutionary new concertos “L’estro armónico” that was published in Amsterdam in 1711 and adapted it in 1713-1714 for solo organ, preserving the concerto's spirit while ingeniously adapting it to suit the organ's capabilities. The Concerto exemplifies the art of transcription and showcases Bach's profound understanding of musical forms and styles. By reimagining Vivaldi's concerto for the organ, Bach demonstrates his ingenuity in adapting music to a different instrument, while simultaneously paying homage to the original composer. The work serves as a testament to Bach's versatility and brilliance, as well as his lasting impact on the world of classical music. The piano transcription of Bach’s transcription is attributed to Samuel Feinberg (1890-1962), a prominent Russian pianist, composer, and music educator.

Mieczysław Weinberg
Piano Sonata No. 4 in B Minor, Op. 56
Mieczysław Weinberg, a Polish-born composer of Jewish origin, was a highly prolific and deeply expressive figure in the realm of 20th-century classical music. Despite facing numerous personal and professional challenges, Weinberg left behind a vast and diverse oeuvre, encompassing symphonies, chamber music, vocal works, and operas. His Piano Sonata No. 4 is a significant representation of his style, showcasing his emotional intensity and compositional skill. Composed in 1955, the Fourth Piano Sonata 4 is situated within a particularly turbulent period of Weinberg's life. Having fled Poland during World War II, Weinberg eventually settled in Moscow in 1943. There he befriended Shostakovich and found in him a tireless advocate. During the Zhdanovshchina of 1948, several of Weinberg's works faced censorship and bans. Additionally, in February 1953, he was detained under accusations of "Jewish bourgeois nationalism" linked to his father-in-law's murder, as part of the infamous "Doctors' plot." Allegedly, Shostakovich wrote to Lavrenti Beria - chief of the Soviet security - seeking his intervention on Weinberg's behalf. Fortunately, Stalin's death the following month saved Weinberg from further repercussions, and he was subsequently officially rehabilitated. These personal experiences, combined with the wider socio-political climate of the time, significantly influenced the emotional depth and complexity of his music. Weinberg's Fourth Piano Sonata stands as a testament to the composer's remarkable ability to channel his personal experiences and emotions into his music. The work's emotional range, from turmoil and introspection

to hope and resilience, resonates deeply with audiences, offering a glimpse into the inner world of one of the 20th century's most prolific yet underappreciated composers.

Alexander Scriabin
Prelude and Nocturne for the Left Hand, Op. 9
Alexander Scriabin, a Russian composer and pianist, was a highly influential figure in late Romantic and early 20th-century music. He was known for his innovative harmonic language, mysticism-infused compositions, and his unique exploration of synesthesia – the intermingling of sensory experiences. The Prelude and Nocturne for the Left Hand, Op. 9, is a compelling testament to Scriabin's artistic vision and technical prowess. Scriabin composed the work in 1894, after an unfortunate injury to his right hand (he suffered the injury while playing Liszt's Don Juan and Balakirev's Islamey, overexerting his fingers that could barely stretch to a ninth), which left him unable to use it for a period of time. The work demonstrates Scriabin's remarkable ability to create expressive and evocative music using only the left hand, showcasing his ingenuity and artistry. The Prelude and Nocturne for the Left Hand is a two-movement work that explores contrasting moods and textures. It holds a unique place in the piano repertoire due to its singular focus on showcasing the expressive capabilities of the left hand. Scriabin's ability to create a work of such emotional depth and complexity with limited physical resources is a testament to his exceptional creativity and craftsmanship. The piece stands as a shining example of his early style, foreshadowing the mystical and visionary elements that would later come to define his later works.

Wagner-Liszt
Tannhäuser Overture, S. 442
Franz Liszt was not only renowned for his dazzling piano performances but also for his remarkable skill in transcribing and arranging the works of other composers. Among his numerous transcriptions, the Tannhäuser Overture stands as a shining example of Liszt's ability to capture the essence and grandeur of Richard Wagner's operatic music and translate it into a thrilling piano composition. Richard Wagner's opera "Tannhäuser," with its stirring overture, is a masterpiece that embodies the dramatic intensity and emotional depth characteristic of his music. Liszt, who was deeply impressed by Wagner's works and had a close personal relationship with the composer, took on the ambitious task of transcribing the Tannhäuser Overture for solo piano. This transcription, completed in 1848, was part of Liszt's efforts to popularize Wagner's music beyond the opera houses and bring it to a broader audience. By transcribing such a monumental work, Liszt demonstrated his profound understanding of both Wagner's musical language and the capabilities of the piano as a solo instrument. The Tannhäuser Overture is a striking fusion of two great musical minds, showcasing Wagner's dramatic power and Liszt's virtuosic prowess.

Meanwhile in Georgia...
Wagner's opera "Tannhäuser" graced the stage in Tbilisi just once, back in 1886. In addition to that, only two other Wagnerian operas were performed there: "Lohengrin" in 1890, 1922, and 1973, and "The Flying Dutchman" in 1976. However, a significant connection exists between the Tbilisi Opera House and Richard Wagner. On October 11, 1874, a fire broke out in the Tbilisi Opera House, which was then situated in the Caravanserai Theatre. Unfortunately, the theatre was completely destroyed. The reconstruction efforts lasted until 1896 when a new Opera House, designed by the German architect Victor Schröter, was finally completed. Remarkably, Schröter based his design on Wagner's Bayreuth Festspielhaus. The Tbilisi Opera Theatre was moved from

Festspielhaus. The Tbilisi Opera Theatre was moved from Paskevich-Erivansky Square (now known as Freedom Square) to the Golovin Prospect (currently Rustaveli Avenue). Unfortunately, another fire struck in 1973, resulting in severe damage to the building's interior. Nevertheless, in 1978, the Georgian architects Leri Medzmariashvili and Murtaz Chachanidze led the restoration efforts, bringing the Opera Haus back to its original splendour.

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

იოჰან სებასტიან ბახი
კონცერტი სოლო ორგანისთვის No. 2 ლა მინორი, BWV 593
კონცერტი სოლო ორგანისთვის No. 2 ლა მინორი იოჰან სებასტიან ბახს მიეწერება, თუმცა სინამდვილეში ეს ანტონიო ვივალდის მიერ შექმნილი კონცერტის გადამუშავებაა, რომელშიც აისახა სხვა კომპოზიტორების მსალასთან მუშაობის ბახისეული ოსტატობა. ბახი ცნობილი იყო თავისი თანამედროვეებისა და წინამორბედების მუსიკის ათვისებისა და გადამუშავების არაჩვეულებრივი ნიჭით. ბაროკოს ეპოქაში კომპოზიტორები ხშირად „სესხულობდნენ“ ერთმანეთისგან თემებსა და მოტივებს და ამ პრაქტიკას სახელიც ჰქონდა - „პაროდია“ ან „პასტიჩო“. ლა-მინორული საორგანო კონცერტის შემთხვევაში ბახმა „ისესხა“ ანტონიო ვივალდის კონცერტი ორი ვიოლინოს, სიმებიანი საკრავებისა და ბასო კონტინუოსთვის RV 522, რომელიც შედიოდა ვივალდის ახალი კონცერტების რევოლუციურ კრებულში „L'estro armónico“. კრებული გამოიცა 1711 წელს ამსტერდამში, ხოლო ბახმა გადაამუშავა ლა-მინორული კონცერტი სოლო ორგანისთვის 1713-1714 წლებში, შეინარჩუნა რა ორიგინალის არსი და, იმავდროულად, მიუსადაგა იგი ორგანის შესაძლებლობებს. ბახის კონცერტი ტრანსკრიფციის საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც აისახა მუსიკალური ფორმებისა და სტილების ბახისეული ღრმა ცოდნა. ნაწარმოებში ასევე იკვეთება კომპოზიტორის ნიჭი, მოარგოს მუსიკა ახალ საკრავს ისე, რომ პატივი მიაგოს ორიგინალის კომპოზიტორს. სწორედ ამიტომ ინარჩუნებს ლა-მინორული საორგანო კონცერტი პოპულარობას არაერთი თაობის მუსიკოსებში. ბახის გადამუშავების საფორტეპიანო ტრანსკრიფცია ეკუთვნის სამუელ ფაინბერგს (1890-1962), გამოჩენილ რუს პიანისტს, კომპოზიტორსა და პედაგოგს.

მეჩისლავ ვაინბერგი
საფორტეპიანო სონატა No. 4 სი მინორი, თხზ. 56
მეჩისლავ ვაინბერგი, პოლონეთში დაბადებული ებრაული წარმოშობის კომპოზიტორი, უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედია, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია მე-20 საუკუნის კლასიკური მუსიკის სფეროში. მიუხედავად მრავალი პირადი და პროფესიული გამოწვევისა, ვაინბერგმა დატოვა მოცულობითი და მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელიც მოიცავს სიმფონიებს, კამერულ მუსიკას, ვოკალურ ნაწარმოებებსა და ოპერებს. მისი მეოთხე საფორტეპიანო სონატა ვაინბერგის თვითმყოფადი სტილის. 1955 წელს შექმნილი საფორტეპიანო სონატა განეკუთვნება ვაინბერგის ცხოვრების განსაკუთრებით მღელვარე პერიოდს. მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთიდან გამოქცეული კომპოზიტორი 1943 წელს საბოლოოდ მოსკოვში დასახლდა. იქ ის დაუმეგობრდა შოსტაკოვიჩს, რომელიც მფარველობდა კოლეგას. 1948 წლის „ჟდანოვშჩინას“ დროს ვაინბერგის რამდენიმე ნაწარმოები აიკრძალა. გარდა ამისა, 1953 წლის თებერვალში იგი დააკავეს „ებრაული ბურჟუაზიული

ნაციონალიზმის“ ბრალდებით, რაც დაკავშირებული იყო „ექიმთა შეთქმულების“ გამოძიებისას მისი სიმამრის მკვლელობასთან. შოსტაკოვიჩმა, როგორც ვარაუდობენ, მისწერა ლავრენტი ბერიას და სთხოვა მას, ჩარეულიყო ვაინბერგის დასახსნელად. საბედნიეროდ, მომდევნო თვეში სტალინის სიკვდილმა გადაარჩინა პოლონელი კომპოზიტორი და მოგვიანებით მისი რეაბილიტაციაც მოხდა. როგორც ამ პირადმა ამბავმა, ისე იმდროინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ვაინბერგის მუსიკის ემოციურ სიღრმესა და სირთულეზე. მისი მეოთხე საფორტეპიანო სონატა, სხვა ნაწარმოებთან ერთად, წარმოაჩენს კომპოზიტორის უნარს, მუსიკაში გადაიტანოს თავისი პირადი გამოცდილება და განცდები. სონატის ემოციური დიაპაზონი, რომელიც მოიცავს როგორც გაურკვევლობისა და სასოწარკვეთის, ისე იმედისა და უდრეკელობის განცდებს, დღესაც ეხმიანება მსმენელს, რომელსაც ეძლევა საშუალება, იმოგზაუროს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი, მაგრამ დაუფასებელი კომპოზიტორის შინაგან სამყაროში.

ალექსანდრე სკრიაბინი
პრელუდია და ნოქტიურნი მარცხენა ხელისთვის, თხზ. 9
რუსი კომპოზიტორი და პიანისტი ალექსანდრე სკრიაბინი გვიანი რომანტიზმისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მუსიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. იგი ცნობილია თავისი ნოვატორული ჰარმონიული ენით, მისტიციზმით გაჯერებული ნაწარმოებებითა და მუსიკაში სინესთეზიის ელემენტების გამოყენებით. პრელუდია და ნოქტურნი მარცხენა ხელისთვის სკრიაბინის მხატვრული ხედვისა და ტექნიკური შესაძლებლობების გამოვლინების საუკეთესო ნიმუშია. ნაწარმოები კომპოზიტორმა 1894 წელს შექმნა, მას შემდეგ, რაც მიიღო მარჯვენა ხელის ტრავმა, გამოწვეული ლისტის „დონ ჟუანისა“ და ბალაკირევის „ისლამეის“ ინტენსიური მეცადინეობით. შედეგად, სკრიაბინი გარკვეული დროის განმავლობაში დაკვრისას ვერ იყენებდა მარჯვენა ხელს. პრელუდია და ნოქტიურნი წარმოაჩენს კომპოზიტორის უნარს, მხოლოდ მარცხენა ხელის შესაძლებლობების გამოყენებით შექმნას ექსპრესიული და გამომსახველი მუსიკა. ორნაწილიანი კომპოზიცია იკვლევს კონტრასტულ განწყობებსა და ფაქტურებს. მას უნიკალური ადგილი უჭირავს საფორტეპიანო რეპერტუარში, რადგან მარცხენა ხელის გამომსახველ შესაძლებლობებზე აკეთებს აქცენტს. სკრიაბინისეული უნარი, შეზღუდული ფიზიკური რესურსების გამოყენებით შექმნას ესოდენ ემოციური სიღრმისა და ტექნიკური სირთულის ნაწარმოები, მისი განსაკუთრებული შემოქმედებითობისა და ოსტატობის დასტურია. პრელუდია და ნოქტიურნი სკრიაბინის ადრეული სტილის ნათელი მაგალითია, რომელშიც აისახა ის მისტიკური და ხილვისმიერი ელემენტები, რომლებიც მოგვიანებით განსაზღვრავს მისი შემოქმედების არსს.
ვაგნერი-ლისტი
„ტანჰოიზერის“ უვერტიურა, S. 442
ფერენც ლისტი ცნობილი იყო არა მხოლოდ თავისი შთამბეჭდავი საკონცერტო გამოსვლებით, არამედ სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებების შესანიშნავი გადამუშავებებით. მის მრავალრიცხოვან ტრანსკრიფციებს შორის „ტანჰოიზერის“ უვერტიურას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ლისტმა შეძლო რიხარდ ვაგნერის საოპერო მუსიკის არსი და სიდიადე ორგანულად გადაეტანა სოლო საკრავისთვის შექმნილ კომპოზიციაში. ვაგნერის ოპერა „ტანჰოიზერი“, თავისი ამაღელვებელი უვერტიურით, შედევრია, რომელშიც ასახულია დიდი გერმანელის მუსიკისთვის დამახასიათებელი დრამატული ინტენსივობა და ემოციურ სიღრმე. ლისტი, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა ვაგნერს და რომელსაც ახლო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა გერმანელ კომპოზიტორთან